

ნიკეი

№ 13

ივლისი. თბილისი.

1956

გამოცემის წელი XXXIV წაბი 2 ზაბ.

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ქართული
ბიბლიოთეკა



ი. ქოქიაშვილისა

გახურებული კურის ალუბა... ზოგიერთ კოლმეურანეთში

(ლია ბარათი)

ამ ბარათს ფოსტით გამოგიგზავნიდი, ქალო ნანატრა, მაგრამ ჩვენი ფოსტის ამბავი რომ ვიცი, ვშიშობდი გზაში სადმე არ დაკარგულიყო. ქალი ხარ ისეთი—კაცს თვალს უბრმავებ. დოკუმენტი ნიღაბი გილაყლაყებს, თვალებს ნაღვერდებივით აკვესებ. ვინ იცის შენს ახადგაზრდაში და ახლა, ქალობაშიც, რამდენი კაცის გული დაგინვაეს.

ქვეყანას ენატრებოდი? დედ-მამას ენატრებოდი?

ქართველი ქალი ხარ და ეს რა სახელი მოუძებნიათ შენთვის?! თუმცა რა შენი ბრალია, ასეთი უცნაური სახელი რომ შეგარქვეს. როცა მოგნათლეს, პატარა იყავი და, აბა როგორ განაცხადებდი პროტესტს.

უკანასკნელ მოდებზე იცვამ. ეს არა უშავს რა, ქალო ღამაზე უნდა ჩაიცვას, არც კაცები ვარ ამასი გამოირცხული. საამისოდ მოდების ჟურნალებს უშვებენ, ატეიებში მკერავებსა წვრთნიან... უნდა ჩაიცვა და დაიხურო, აბა რა.

ღმერთმა შეძლება მოგცეს!

მაგრამ ღმერთი სად არის მამინ, როცა შენი ქმარი კოტიკა, მთელი თვე სადღაც დაკარგული, მტერიანი, ნაქეიფარი, თვალდასიებული, გაბლენძილი მოვა შინ და შენ აღერსით კართან მიეკებები:

— ო, ჩემო კოტიკა, ჩემო ღაბუა ჩიტო, ჩამოფრინდი, გენაცვალე?

ესვევი, კოცნი, კოცნით ბეჭდავ მის გაუპარსავ ეოყებს.

კოტიკა გაუპარსავია, კაცს არ ეცადა, დღე-ღამე მუშაობდა, დღე და ღამეს ასწორებდა... მუშაობდა, მაგრამ არც კი ვიცი სად და რას აკეთებდა. მგონი არც შენ იცი სად და რა თანამდებობაზე მუშაობს. შენთვის მთავარი და ამაღლევბელი იყო ის წუთები, როცა კოტიკა პორტფელიდან ფულს გადმოყრიდა მაგიდაზე და ათასებს ითვლიდა. შენ ამ დროს გიტარას გადმოიღებდი და მხიარულ რომანსებს უგალობდი შენს კოტიკას, შენს ღაბუა ჩიტს...

ნამს გიტარას ადუმებ, ფულის გროვას თვალს

არ აშორებ და ხარბად მისჩერებიხარ.

— რამდენია, კოტიკ, გენაცვალე?

— რვა ათასი, ესეც ათი ათასი

კოტიკა უკმაყოფილოა.

— ქალო, იმ დღეს, მივიღებოდა რომ მივიდიოდი, ხომ არ გახსოვს, მარჯვენა ფეხზე ავდექი, თუ მარცხენაზე?

— მარცხენა იყო, ნამდვილად მარცხენა.

სხვა დროს კოტიკას ოცი, ოცდახუთი ათასი ჩამოუტანია, ახლა კი ათია. ნამდვილად მარცხენა ფეხზე ადგა, ან შავკატაგადარბენი გზაზე პირველად მან გაიარა.

„კოტიკ, საიდან ეს ფულიები?“

შენ არასოდეს არ წამოგდენია ამგვარი კითხვა.

„ათი ათასიც კარგია“, ფიქრობ და ცოტა მოდუნებით, მაგრამ მაინც აკვნესებ გიტარას.

ფული დათვლილია. ჩემოდანში აწყობთ, საგანგებო ჩემოდანში, რომლის გასაღებიც მარტო შენა გაქვს და არავის ენდობი.

კოტიკა ფულს დათვლის, პირს გაიპარსავს, მერე მოსამსახურე, რომელიც ფულის თვლის დროს თქვენს ოთახში არც კი გამოჩნდება ხოლმე, შენს ქმარს საჭმელს მოართმევს, მერე კოტიკა ლოგინში ჩანვება და ხვრინვას ამოუშვებს.

მეორე დღეს შენს გულითად მეგობარს ეწვიე ატელიში, მეგობარს, რომელიც დირექტორის მოადგილე მუშაობს.

— ღიბა, გენაცვალე... ახალი ნაჭერი რამე გექნება.

— შენთვის, ჩემო ნანატრა, ყველაფერი გვაქვს: პანამა, ტაფტა, მუარი, კრუ-ჟორჟეტი, აი, ფერები, აირჩიე.

ირჩეუ და იწუნებ, ცხვირს მაღლა სწევ და მის მომქსოვს აგინებ.

ქმარს ვინ კითხავს, რას შეიკრავ და რას არა, რამდენს დახარჯავ და რამდენს არა. შენს საიდუმლო ჩემოდანში შემოგაკვდება თუ არა ფული, კოტიკას ებუზღუნები:

— კოტიკ, ფული აღარა გვაქვს! მოიტა!

რა მაღა გაქვს! ბარაქა შენს ქალობას!

მომიფული ქალიშვილი გყავს, თვამეტ-ცხრა-მეტი წლისა, განებოვრებული და თავაშვებული, „სტილინი“ ბიჭები და ჯაშუები რომ აგოჟებენ.

ინსტიტუტში დიდით წასული, ღამით თორმეტზე, პირველზე მოდის.

— სად იყავი, შვილი? — შეეკითხები ხანდახან.

— კინოში, დედა, — არის პასუხი.

ამით მთავრდება თქვენ შორის გამართული დიალოგი. შენ გჯერა, რომ იგი კინოში იყო, ან თეატრში.

ნამდვილად კი...

ო, რა თავაშვებული ქალიშვილი გვზრდება რომ იცოდეს!

ყველა, ყველა მაგრამ ღორიგანი რამ დაგარქმევინათ, საიდან მოსძებნეთ ეს ძველებური სუნამოს სახედი?

ღორიგანს ვაჟი მოეწონა. თითქმის ყოველ დღე იმ ვაჟთან დაიარებოდა. ინსტიტუტი მიატოვა და საბოლოოდ იმ ვაჟს მიეკვლიდა. ღამით კვლავ გვიან მოდიოდა.

— სად იყავ, შვილი? — ეკითხებოდი ხანდახან.

— კინოში, ამხანაგებთან, — იყო პასუხი.

ხოლო ერთხელ მართალი გითხრა: უნდა გავთხოვდეო.

შენ ცოტა გენყინა, ცოტა გაბრაზდი, მერე ცოტა გაგებარდა, მერე... მერე ის მოხდა, რომ ხელად მზითვი გაუმზადეთ: რიგის საწოლი, „ბუზ-დელუშკების“ კარადა თავის „ბუზდელუშკებით“ პიანინოც გაატანეთ და ქალი გაათხოვეთ.

ვაჟის დედ-მამას შეძლება არ ჰქონდა, ქორწილიც თქვენ იკისრეთ. ამბობენ სუფრაზე ჩიტის რძეც კი იყოო.

ღორიგანი თქვენგან წავიდა. შენ კიდევ უფრო თავისუფლად ამოისუნთქე.

კოტიკ თვინდან თვეზე არ ჩანდა. სანამ მივიღებოდიან დაბრუნებოდა, შენ ერთი-ორჯერ წვეულებას მართავდი. ამ წვეულებაზე იყო შენი თავანისმცემელი დიმიტრი, შენგან დიტოდ წოდებული. ო, რა ენებით გიყურებდა! გიმართლებდა, შენით ტკბებოდა.

მერე ერთ საღამოს შენი კოტიკა გამოჩნდებოდა წვერგაუპარსავი, თვალდასიებული, სახე პორტუგალით.

— კოტიკ, ჩემო ღაბუა ჩიტო, ჩამოფრინდი?!

მერე გიტარა კვნესის, შენ ლილინებ, კოტიკა ფულს ითვლის და ისიც ლილინებს. ახლა ბევრი ჩამოუტანია.

კვიცი გვარზე ხტისო, რამდენად მართალია არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, როცა შენ დიტოს ეკურკურებოდი და მისით ტკბებოდი, შენი ქალიშვილი იმ დროს თავის ქმარს ვილაც „სტილინი“ ბიჭთან უნახავს კინოში და ამას დიდი უსიამოვნება მოჰყოლია. ის „სტილინი“ ბიჭი ღორიგანის საყვარელი აღმოჩნდა. თქვენი ქალიშვილი ვერა და ვერ ჩამოშორდა მას. და აი, ერთ დღეს, ღორიგანი შენ მოგადგა თავის რიგის საწოლით, „ბუზდელუშკების“ კარადით, პიანინოთი...

— ეს რა არის, შვილი? იქ რემონტი ხომ არ დაიწყო?

გულს შემოგყვარა, ნამდვილად რალაც იგრძენი.

— არა, რემონტი არა, ის... მე მასთან ვეღარ ვიცხოვრებ. არ მინდა ის, საზიზღარი, ჯაღათი, მხეცი! უნდოდა მისი მონა ცყოფილიყავი, თავისუფლად არ ამომესუნთქა... ახლა შეირთოს ჩემზე უკეთესი.

— ოჰ, ის არამზადა! — აბლაღდა კოტიკა, — რა ქალი გავატანე და კიდევ დიდგულობს! რეკვენი, ბრწყინ!

მითხარი ეს რა ცხოვრება გაქვს, ქალო ნანატრა?

კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს. ვერც შენი კოტიკა მოიტანს ყოველთვის ფულს.

სახელების გარდა ყველაფრის შეცვლა შეგიძლიათ, დროზე მიხედეთ თქვენს თავს. ეს ჩემი რჩევაა, თორემ შენ იცი, თუ გინდა, ათჯერ გაგიტხოვებია შენი ღორიგანი.

თინათინ გოგოლაძე

საკანსელაიკო სვანდაკვიზასია

უფროსნი: ეს რა უბედურებაა, ყველა დახასიათება ერთმანეთსა ჰგავს, ყველა თანამშრომელი ერთნაირი როგორ აღმოჩნდა?
ქალოების განყოფილების გამგამ: სტანდარტიზაცია დროის ეკონომიას იძლევა.

ნახ. ს. გაბაშვილისა



(ლიტერატურული ნარკვევი)

არ იფიქროთ, რომ ამ ნარკვევში რომანის შექმნის რაიმე ახალ საშუალებებზე გვექნება ლაპარაკი. მე მხოლოდ მიზნად დავი-სახე, განვაზოგადო ჩვენს რომანისტებში ფარ-თოდ გავრცელებული ლიტერატურული ხერ-ხები და მეთოდები, რაც, ჩემის აზრით, და-ხმარებას გაუწევს დამწყებ მწერლებს.

თქვენ გადაწყვეით, რომ შექმნათ ამა-ღლელებელი რომანი თანამედროვე ცხოვრე-ბაზე? ძალიან კარგი, მაგრამ გაფრთხილებთ, რომ ამაღლელებელ ნაწარმოების შექმნას თავი დაანებეთ, რადგან მღელვარება მტე-რია ნერვული სისტემისა (რომანი გამარ-თლებული უნდა იყოს მედიცინის თვალსა-ზრისითაც).

ვიდრე წერას დაიწყებდეთ, საჭიროა შე-აგროვოთ მასალები... კარგი ხარისხის ქა-ლაღლი, მეღნის საკმაო რაოდენობა და მუდ-მივი კალმისტარი. ამის შემდეგ კი დგება უფრო სერიოზული ეტაპი, საჭიროა გამო-იძებნოს. რომანის თემა, ასპარეზი, სადაც თქვენი მომავალი გმირები ხორცს შეასხამენ თქვენს შთანაფიქრს. აი, აქ კი მე გირჩევთ წმინდა მეგობრულ-პრაქტიკული თვალსაზრი-სით შეაჩერეთ თქვენი ყურადღება საკოლმე-ურნეო ცხოვრებაზე, რადგან ინდუსტრიულ თემებზე რომანის შესაქმნელად საკმაო ტრა-დიცია არა გვაქვს და, ტრადიციას რომ თავი დავანებოთ, არცერთ დიდ რომანისტს—ტურ-გენევს, დოსტოევსკის თუ ჯავახიშვილს ამ თემისთვის ხელი არ მოუყიდნიათ. არა, არა, ნუ აღელდებით, კოლმეურნეობაზე წერა არ ნიშნავს, რომ თქვენ სოფელში დაგვირდებით წასვლა. მერე რა, რომ ტოლსტოი სოფელში ქმნიდა თავის შედევრებს, მას ხომ თქვენსა-ვით არ ჰქონია საშუალება ცხოვრებას ვას-ცნობოდა რადიოთი და კინოფილმებით. მაშ ასე, თემა არჩეულია—სასიყვარულო რომანი საკოლმეურნეო ცხოვრების ფონზე!

მკითხველი პირველი სტრიქონებიდანვე უნდა დაიპყროთ; მღელვარე დიალოგები შმაგ სიყვარულს ან მოქმედ გმირთა შეჯა-ხებების ქარტეზილებს უნდა ჰპირდებოდეს მას. სასურველია, მთელი ნიჭით და სიტყვე-ბის სიუხვით დაუხატოთ მკითხველებს ბუნე-ბის ლამაზი პეიზაჟები. მერე რა, რომ თქვენს რომანში ბუღბუღი ზამთარში იგა-



— ბოლოს და ბოლოს ინსტიტუტის დირექტორი ხართ, რატომ არ ამხილეთ, როცა ამ კათედრაზე მუშაობა ჩაიშალა? — რა გქნა, პატიოსანი კაცი ვარ და არ მიყვარხ სხვის ოჯახურ საქმეებში ჩარევა.

ლობებს და იასამანი სექტემბერში აყვავილ-დება, ეს ხომ ხელოვნებაა და ხელოვნებას კი ფანტაზია და გაქანება უყვარს. ჭეშმარი-ტებაა, გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო, მაგრამ მოკლე რომ გრძლად თქვა, ამასაც ხომ ნიჭი და მოხერხება უნდა. თუ მკითხველმა პირველი 5 გვერდის წაკითხვის შემდეგ თქვენს ნაწარმოებს თავი არ მიანება, ეს უკვე სე-რიოზული გამარჯვებაა, იგი ბოლომდე წა-იკითხავს თქვენს რომანს...

ახლა გადავდივართ მუშაობის ურთულეს საკითხზე, უნდა შექმნათ მაღალმხატვრული ხასიათები. მეტი კომპენტენტურობისათვის მე მოგიყვანთ რამდენიმე სტანდარტულ ნი-მუშს. როგორი უნდა იყოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე?—იგი შეიძლება იყოს ხანში შესულიც და ახალგაზრდაც, მაგრამ აუცილებ-ლად სამამულო ომის მონაწილე, მომთხოვნი, ცოტა მყვირალა, მაგრამ გულკეთილი. შეიყვან-ეთ რომანში ოთხმოცე წლის თემბდათოვილი,

ყალიონიანი მოხუცი, რომელიც რაიმე ლე-გენდით გაამდიდრებს სიუჟეტს. განსაკუთ-რებული სიფაქიზით უნდა მოვეპყროთ მთა-ვარ გმირებს. სიყვარული—ეს ხომ ადამიანთა მოდგმის უღამაზესი გრძნობაა, იგი ორგა-ნულად არის დაკავშირებული სილამაზის ცნებასთან. წარმოიდგინეთ ვაჟი ახოვანი, მკვრივად ჩასხმული, შავი თვალებიდან და-უოკებელი, ტემპერამენტი იღვრება; ბრინ-ჯაოსფერი მკერდი ბულდოზურივით უძგერს. იგი მზად არის სატრფოსთვის მთებს ისე შეეხება, როგორც ჰერკულესი უძღვევდ დრა-კონებს. ქალიშვილი კი ძალზე ლამაზია, ეშ-ხიანი, მის საქმეში ნაცნობი ქალური სინა-ტიფე გამოსჭვივის, მისი ღიმილი ჭიუხებზე თოვლს გაადნობს და ენძელას ამოიყვანს. კონფლიქტი უნდა აიგოს იმაზე, რომ ქალი მუშაობაში ჯობნის ვაჟს. აქ მე კიდევ ერთ პრაქტიკულ რჩევას მოგცემთ. არავითარ შემ-თხვევაში კონფლიქტი არ აავოთ ფაქტობრივ მასალაზე, ყველაზე გავრცელებული ხერხია გაუგებრობაზე აღმოცენებული კონფლიქტი.

აი, თქვენმა ვაჟმა შენიშნა სატრფო სო-სეკასთან მხიარულ საუბარში. ეკვმა ფას-კუნჯივით დაისაბუღრა მის გონებაში. იწყება უძილო ლამეები, ტანჯვა და დარდი. და-ლონდა ქალიც, იგი დამლამობით საცხე მთვა-რეს უიმედო სიყვარულზე ესაუბრება. ნერ-ვიულობენ შვილების ტანჯვის შემყურე დე-დები. ბოლოს საქმეში ჩაერევიან ამიანაგები, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რაიკომის მდივანიც კი, და ერთ სშვენიერ დღეს (სა-სურველია ეს მშვენიერი დღე შემოდგომისა იყოს) გაუგებრობა გარკვეულია. რომანი დაამთავრეთ ტრადიციული ქორწილით (კარ-გი იქნება, თუ ქორწილი კოლმეურნეობის პესის გახსნას დაემთხვევა.) ასე დასრულდება თქვენი გმირების ტანჯვა და მკითხველიც თა-ვისუფლად ამოისუნთქავს.

ყოველივე ამის შემდეგ რომანი ორ ცა-ლად გადააბეჭდვინეთ და გაგზავნეთ რედაქ-ციაში. და თუ მან ვერ იხილოს დღის სი-ნათლე, გული არ გაიტეხოთ, არ გაავდოთ კალაჩი ხელიდან—გახსენეთ მარტინ ილენი.


ნახ. ნ. მალაზონიასი



— ახე რატომ ღელავთ, ხომ არ უნდა გაგაკრიტიკონ? — პირიქით, მე უნდა გაგაკრიტიკო.



რუსთავეში სპორტის მესვეურებს სპორტულ ცხოვრებაში მრავალი გამარტივება შეაქვთ. მათი აზრით, სპორტული ვარჯიშები ყოველთვის ღია ცისქვეშ სუფთა ჰაერზე ბუნებრივ პირობებში უნდა წარმოებდეს და დახურული დარბაზები ზედმეტი ხარჯია. თუ წვიმა ან თოვლი მოდის, ეს მით უფრო ხელს უწყობს ორგანიზმის გაკაცებას. ამ მოსაზრებით სახამთრო დარბაზის აშენება დღემდე განუხორციელებელია.



აქ სწორედ ის ზამთრის სპორტული დარბაზი „შენდება“, რომლის საძირკველი რამდენჯერმე ჩაიყარა და ამოიყარა. ახლა ზაფხულია და ზამთრის დარბაზი არავის უნდა. მასალა ზაფხულის წვიმის ნიაღვარს მიაქვს.
ენახოთ რას მოიტანს ზამთრის ქარი?

სამაგიეროდ ამ შენობის საძირკველის ამოყრა-ჩაყრაში ავარჯიშებენ მშენებლებს. ესეც სპორტის ახალი სახეობაა და სპორტის რუსთაველ მესვეურებს უნდა მიეწეროს მისი გამოგონება. გამარტივების იშვიათი ნიმუშია რუსთავეის სტადიონიც. აბა, რა საჭიროა დამხმარე სათავსოები: გასახდელი, შხაპი და სხვა. როდესაც ერთი პატარა სარაია ყველაფერ ამის მაგვირობას ასრულებს. რა ვუყოთ, თუ ყველაფერი ეს პროექტით გათვალისწინებული იყო? რუსთავეში ასეთი სპორტული ხუმრობაც უყვართ ხოლმე. ჩვენ დავამთავრეთ რუსთავე-ქალაქში პირველი დარბაზობა. ძნელი ამოცანა იყო ჩვენს წინაშე—ჩვენ უნდა გვეხუმრა ადამიანთა ყოვლად მიუტყვებელ ცოდვათა შესახებ... დაღონებული ვწერდით, ვღელავდით... მაგრამ ვცდილობდით მკითხველი მაინც გაგვერთო და გაგვემნიარულეებინა.

დიდი ილია ჭავჭავაძე ამბობდა: ერთი და იგივე მოვლენა ზოგს აცინებს, ზოგს ატირებსო. თუ ისეთი გული გაქვთ, რომ, მაგალითად, ინდიკო გიორგობიანის გამოგონება აღგაშფოთებთ, თქვენ მართალი იქნებით. თუ იცინებთ და იტყვიან ეს რა გამოუგონებიაო!—მაინც მართალი იქნებით.

ორთავე საბუთი (აღშფოთებისა და სიცილისა) თქვენს წინ არის. არჩევანი თქვენზეა.

ნიახვის რეიდი: **გ. ლიპაძე, გ. შუბინიძე, ლ. ვარლუჟიძე, რ. ალავერღაშვილი, გ. ბაღდავაძე,**

ამხანაგო ნიანგო!

თუ რუსთავეში ჩანოსვლა მოგიხდეს, უთუოდ შეიარე № 22 სასაუზნეში და მზარეული ე. ინასარიძე ინახულე. ნამდვილად საინტერესო კაცია, თავის დარგში მრავალნაირ წარმატებას მიაღწია. ე. ინასარიძის გამომცხვარ ღვეზელს მთელი რუსთავე იცნობს. კერძოდ მას ეკუთვნის კატლეტის ახალი სახეობის მიღება ხორცისა და კარტოფილის შეზავებით. მართალია, ეს ნახავი ხორცის კატლეტზე მეტად ფასობს, მაგრამ სამაგიეროდ იგი ე. ინასარიძის სახელთანაა დაკავშირებული და ესეც საკმარისია მისი პოპულარობისათვის. ზოგი უმადური კლიენტი კატლეტის ამ სახეობაზე უკმაყოფილებას გამოთქვამს და გაიძახის საჩივრის წიგნი მომითმანეთო. მოდი და ასეთ ხალხს მიაწოდე გაუმჯობესებული ასორტიმენტი. შე პირადად ისე აღფრთოვანებული ვარ ე. ინასარიძის მზარეულური ტალანტით, რომ გირჩევთ, უთუოდ წამოაგოთ თქვენს ჩანგალზე მის მიერ შეზავებული კატლეტი. მჯერა, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

თქვენს თვალწინ მოღვაწეობს საამაყო თანამდებობის კანდიდატი რომლის უმწიკვლო მუშაობაში ეჭვი არავის უნდა ებარებოდეს. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ მოხდა არასასიამოვნო ამბავი და ამ კაცის უმწიკვლობაში თქვენ ეჭვი შეგებაართ. ეჭვს მოჰყვა ფაქტები, ხოლო ფაქტებს—საზოგადოებრივი აზრი, რომელმაც ჩრდილი მიაყენა იმ საამაყო თანამდებობის კაცს.

მაგრამ როგორი იქნებოდა თქვენი გაკვირება, თუ გაიგებდით, რომ ასეთ ჩრდილმთიანეთულს „ბუზიკი კი არავინ აუფრინა“.

ეს შეუძლებელიაო იტყვიან. შეიძლება მართლაც შეუძლებელი იყო სხვაგან, მაგრამ რატომღაც შესაძლებელი აღმოჩნდა კულაში. კულაში, როგორც მოგეხსენებათ, სამტრედიის რაიონში შედის, კულას აქვს სასოფლო საბჭო, ხოლო სასოფლო საბჭოს ჰყავდა (წარმოიდგინეთ, დღესაც ჰყავს) თავმჯდომარე იასონ ხუჭუა.

— თუ რამდენად საამაყო თანამდებობა ჰქონია იასონს, თქვენთვის ახლა უკვე ცხადია, მაგრამ თუ როგორ არცხვენა იგი ამ თანამდებობას, ამაზე კი რატომღაც არ იციან სამტრედიელმა და კულაშელმა მესვეურებმა.

აი, ჩვენ კი ვიცით, თანაც საკმაოდ საბუთიანად ვიცით ბევრი რამ, რაც იასონ ხუჭუას სამფლობელოდქვეულ სოფელ კულაში ხდება.

ზოგი ადგებოდა და შორიდან დაიწყებდა: გაიხსენებდა, მაგალითად, კულაში თავის დროზე გავრცელებულ ხმებს იმასზე. თუ როგორ ამირალურად იქცეოდა ხუჭუა სოფელში. ზოგი იმასაც იტყოდა. თუ როგორ დაიწესა ხუჭუამ თავისთვის მეტად ორიგინალური „ნობათი“, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ კულაში ფულსგულბებულ პირებს მისწერდა ფარატინა ქალაღებე:

„პატივცემულო მევანო და მავანო. გადაწყვიტე შევიძინო „ნოსკიჩი“, ამისთვის ფულია საჭირო, მომაშველე ერთი მანეთი“.

„მანეთი“ ხუჭუას ენაზე ნიშნავს ათას მანეთს. და მოსდიოდა ყოვლად შენძელ იასონს „მანეთები“ და „მანეთნახევრები“ ცბრავლთა საწლოცვლოების სხვადასხვა რანგის პირებისგან. შემდეგი „ნობათის“ ბართში იგი დასწერდა:

„მეირდება ფული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დასაფარავადო (!) და აქცე აყაქვინებდა“ მსგავს „მანეთებს“ და „ფერად-ფერადი“ ხერხებით კრეფდა თავისებურ „ნელონიკებს“ იასონ ხუჭუა. კიდევ რას არ გაიხსენებენ კულაშელები. ვანა თუნდაც სოფლის აფთიაქის აშენების გარშემო ატებულ სკანდალებს, ან საერთო საცხოვრებელი სახლის შესაკეთებლად აკრეფილ ათასებს დაივიწყებდნენ? ან კიდევ...

მაგრამ შორს წაგვიყვანდა ყველაფრის ჩამოთვლა. იქნებ კიდევ უფრო შორს წაგვიყვანოს იმის გახსენებამ. რომ იასონ ხუჭუა, ერთბაშად კიდევ გაათავისუფლეს თუ „გადაიყვანეს“ კულაშიდან, მაგრამ იგი გველის ხერხში გაძვრა და თანამდებობა ისევ დაიბრუნა.

თუ გნებავთ, იმასაც გაიხსენებდნენ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ, სამტრედიის რაიონის ბიურომ განიხილა ხუჭუას საკითხი და კომუნისტისა და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარისათვის სახელგანტეხი მოქმედებისათვის საყვედური გამოუცხადა მას.

მას შემდეგ სულ მცირე ხანი გავიდა და. აი, იასონმა უფრო დიდი მასშტაბის „ფულიან საქმეებს“ მოჰკიდა ხელი: ერთ მშვენიერ დღეს კულაშელებს, სახელდობრ ზოოვეტერქიკუმის მუშა-მოსამსახურეებს, საშუალო სკოლის მასწავლებლებს და კიდევ სხვა დაწესებულებების გულუბრყვილო მუშაკებს—წარუდგინა ხუჭუამ ვინმე ჩიქვინიძე და უთხრა:

— შეგაროვეთ ასიოდე ათასი მანეთი. გაატანეთ, და ეს კაცი რუსეთიდან თქვენთვის საჭირო ნივთებსა და საქონელს ჩამოგიტანთო. — ფულის შეკრება თვითონვე ითავა, „ჩამოაყავინა“ მათ სხვადასხვა ღრის 150.000 მანეთამდე ფული და, როგორც თვითონ განუცხადა დაინტერესებულ პირებს, „გაატანა“ იგი ჩიქვინიძეს. გავიდა დრო, მოიხრდათ „ზოოვეტერქიკუმელებს“ მოლოდინი. ბარე ნეასედ მიაკითხეს ხუჭუას— სად არის ჩვენი ფულიო?


— ფული? აბა მე რა ვიცი. სად არის? ის ჩიქვინიძე, რომელმაც ფული გავატანეთ, ეტყობა, წმინდა წყლის აფრისტია.

— კი, მაგრამ თქვენ ხომ... თქვენ ხომ თვითონ წამოიწყეთ ეს საქმე, თქვენ ხომ იცნობდით?— შეჰკადრეს ხუჭუას გულგაბეთქილმა კულაშელებმა.

- მე? მე საიდან ვიცნობდი?
- აკი თქვენ თვითონ მოგვიყვანეთ!
- ჰო, მერე რა ვუყოთ, მე ის ჩიქვინიძე სხვამ გზამცნო.
- ვინ სხვამ?
- ვერ გეტყვიო!
- და ასე გადის დრო, გადის ისე, რომ მგონი კულაშელებს 150.000 მანეთამც ჩაილურის წყალი დალია...

ღიახ, ვერ გეტყვის, უფრო სწორად არ სურს გვითხრას ხუჭუამ ამ ბნელი საქმის ორსი, მაგრამ აი, ჩვენ ვიტყვიან: ის ვილაც ჩიქვინიძე განთქმული აფერისტი იყო, მას მხოლოდ ფულის გამოძალვა სურდა. რაც ხუჭუას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა.

კიდევ ბევრი რამ შეიძლებოდა გვეთქვა. მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა. ამიტომ აქ წერტილს დავესამთ და დავუცდილი. თუ სად წაიყვანს თვით იასონ ხუჭუას ის, რაც აქ მოკლედ ვთქვით.



გვედები, როცა მოვიგონებ
რაც გადამხდა თავს ამ დილით!
წუხელ მშვიდი ღამე იყო,
მადლიერი ვიყავ ძილით...

მაგრამ, როცა შემომესმა
ძილში ცოლის ლაპარაკი, —
უცებ. ტკბილი სიზმრის შემდეგ
არ მეტკბილა აგარაკი...

დილის შუქით შემკრთალ თვალებს
აღარც დილა მოეწონათ,
აღარც სუფთა ჩემი სუფრა,
აღარც ჩემი ცოლი—ცოლად!

როცა თბილად მომეფერა,
მხრებში ცივად ავიწურე,
მისი ხელით მორთმეული
მურაბაც კი დავიწუნე.

მეც ავდექი, «პიჟამოი.»
გამოვეწყე როგორც ზებრა,
რომ ზღვისპირის აგარაკზე
გასართობი მომეძებნა.

სიცხე იდგა. ჭრიჭინების
როდი იყვნენ უორკესტროდ...
და ვეცადე მოსეირნე
წყვილებს ჩრდილში არ მოესწროთ.

ფეხმორთხმული დავჯექი, ჩემთვის,
მიგრძობდა ჰაერს პალმა,
ალაღბედად მეგობარიც
მოიხდა და მომესალმა.

შევეკითხე: «ზღვა თუ მოგწონს?»
მიპასუხა: «ისეთი»—და...
ზღვა გაგრადან სოხუმამდე
პამაკივით ირწეოდა.

ჩემს მეგობარს ვეუბნები:
— ნახე, ერთი, რა ქალია!
მე ასეთი აღნაგობა
არ მინახავს რა ხანია!

მეგობარი სათვალეებს
ისწორებს და შეკითხება:
— ის ხომ არა, ამაღლებულ
ჯებიჩზე რომ ფეხით დგება?!

— რა თქმა უნდა. ქალი რაა,
იმას უნდა ერქვას ღმერთი!
რა კარგია, რა ტანადი,
ათასშია ერთადერთი!

მეგობარი ხელის დარტყმით
ცდილობს უმაღლ დამეთანხმოს,
სამკოფელი შევიცვალეთ,
მივიწიეთ უფრო ახლოს...

— რა ქალია! რა, არ მოგწონს?
მიპასუხე ვაჟკაცურად,—
მის წინ ზღვაც კი გაინაზა
ზვირთავშლილი გასაცურად!

როგორც ოქრო ბრწყინავს მზეში,
რა ქალია! რა ქალია!—
გჩურჩულებ და მეგობარიც
მითანაგრძნობს:—მართალია!..

— ვერსად ძვალს ვერ დაუნახავ,
ვერც დასწამებ ზედმეტ სისქეს!
უფრო უკეთ გავარჩევდით,
ჩვენკენ ზურგით რომ არ იდგეს!

ვთქვი და მივხვდი: სილამაზის
ფორმულა რომ ვერ დავხვეწე
და გრძნობათა გასაწმენდათ
ესთეტიკურ სარჩულს ვეძებ.

აგარაკი არ აკლია,
გული, სული, ფული, სარჩო!..
და მზადა ვარ ქმართან ერთად
ცოტა მეც რომ წავახარჯო!

ასეთ ლამაზ ქალის პატრონს...
(ავამღერე უკვე ენა),
ჯამაგირი რას ეყოფა,
თუ არა აქვს 'გამორჩენა!

ასეთ ლამაზ ქალის პატრონს
სასამართლო არ აცდება,
ქმარი მხოლოდ პატიოსან
შრომით როდი დაფასდება!


ცოლს სურს შავი მურა—მელა,
უყვარს უცხო ბეწვის ქურჭი,
(მოზანავე ქალმა ამ დროს
შეაბრუნა ოდნავ ზურგი...)

ასეთ ლამაზ ქალის პატრონს,
ალბათ ასი თვალი უნდა...
შემეგუბა უცებ სული:
ქალი სულმთლად შემობრუნდა!

და თუმცა-ღა უნებლიედ
მოანათა ჩვენსკენ სახე,—
თქვენს მტერს, რაც მე დამემართა,—
რაც მე მაშინ დავინახე!

ასე იცის, როცა სიტყვას
კაცი კარგად ვერ ასწონი...
ო, იმ უცხო ბანოვანში
უცებ ვიცან ჩემი ცოლი.

ასე იცის შორით ჭვრეტამ...
და სირცხვილით მეწვის ყბები...
უცხო თვალით თუ არ უმზერ,
ცოლს სულ მუდამ ეჩხუბები!



უმიზეზოდ გაწბილებულს
რალა ექნა არ იცოდა,—
თუმცა მე თუ წავეჩხუბე,
მისი ბრალიც არის ცოტა:

ჩვეულებრივ სურათს, რა ექნა,
ვადიარებ: შევხვდი ავად,
ქმრობა ცუდიც რომ არ იყოს,
მოგებზრდება თავისთავად!—

წავეჩხუბე, გაავებულ
გრგვივას ჰგავდა ჩემი ოხვრა,—
სულმთლად ავითვალისწუნე
მისი ტანის მიხრა-მოხრა!..

ცოლმაც შავი ღღე მისურვა
და გასკდომა დედამიწის...
ასე ხდება, როცა ზღვაზე
ქმარი ცოლთან ერთად მიდის!

მითხრა: «ზღვაზე მივდივარო...»
მივაძახე უმაღ: «წადი,
იქნებ წუთით დავისვენო,—
გითმენ ოცი წელიწადი!»

გამეცალა, მიხვდა, ალბათ,
საბანაოდ წასვლა სჯობდა,
გამოცდილი ვიყავ, ამ დროს
ზღვაში თავს რომ არ იხრჩობდა.

მზით აღმური ასდიოდა
ნაპირს, თეთრი ტალღით ნაქსოვს,
ცხელ სილაში გაწოლილებს
მივაჩერდით, როგორც მახსოვს...


ვინ დასთვალს ზღვაში ქვიშა
და შიშველი მხარ-მკლავები,
როცა ერთად ბანაობენ
მთელი ქვეყნის ვარსკვლავები!

იქ ისეთი სიჭრელეა
და იმდენი სასაცილო,—
ყოვლად შეუძლებელია
თვალი განგებ ააცილო.

მე არ მიყვარს შორით ჭვრეტა,
შორით ბნედა, შორით ალვა,
თუმცა უნდა გამოგიტყდეთ:
არც უგულო კაცი არ ვარ!

ჩასაფრებულ თვალთა მზერა
კარგად ვიცი რა არი და
თვალებს ვხუჭავ... მეგობარმაც
საფრთხეს თავი აარიდა.

მაგრამ ზღვისკენ უნებურად
მომიბრუნდა მაინც სახე,—
წამწამსა და წამწამს შუა
ქალის ლანდი დავინახე!



ვეუბნები:—საჭიროა
დიდი თვალი, დიდი ყური,
ხელოვნების თვალსაზრისით
რომ ვთქვათ, არის ტიპიური...

სჩანს, კეთილი ცხოვრება აქვს,
კეთილია მისი ყოფა...
მეკითხება: რა იციო?—
ვუპასუხებ: ზედ ეტყობა!


ეს შემთხვევაც მან მოიგო
ანგარიშით ნოლით—ორი.
გაკონილა თავისთავზე
კაცმა თვითონ შექმნას ჭორი?!

ქარლო ქალაძე


ბესნორება

ჩვენი ჟურნალის მეშვიდე ნომრის, მე-3 გვერდზე, მე-3 სვეტში, მე-10 სტრიქონი ქვემოდან უნდა იკითხებოდეს ასე: „სოფელ ზიარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე...“ შემდეგ, როგორც ტექსტში.


საბრობის იუმორი



— ბედი არ მწყალობს: შავმა კატამ გადა-
მირბინა!...



ალკოჰოლის შესახებ




— შენც ისე დაგემარ-
თება, ფრჩხილების
კვანტა თუ არ მო-
იშალე.




— შენს მეთი არავინ
შიყვარს, ძვირფა-
სო!

(იუგოსლავიურ
ჟურნალებიდან)



უხიტყვოდ.
(ჩეხურ ჟურნალიდან)



პლაგიატი
(რუმინულ ჟურნალიდან)